

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ქართული ენა

(1) **1. მოსწავლემ დაწერა:** *ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებმა ახალი მოთხოვნები წაუყენეს სასწავლებლის დირექტორს.*

აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) 2. მოსწავლემ დაწერა: *ადიდებული მდინარე კლდეებს ეხეთქებოდა და გზა და გზა ჭაღები სულ წალოკა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3. მოსწავლემ დაწერა:** *ხშირად ჩვენ ერთსა და იგივეს ვუსმენთ, მაგრამ ამას სხვადასხვაგვარად აღვიქვამთ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 4. მოსწავლემ დაწერა: *წელს ახალი წიგნებით ვუზრუნველყავით მაღალმთიანი სოფლის სკოლა ფშავში.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 5. მასწავლებლის შეკითხვას, თუ რა იცის გან თანდებულის შესახებ, მოსწავლემ უპასუხა: გან თანდებული მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს დაერთვის. თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?

დააზუსტეთ მოსწავლის პასუხი.

(2) 6. მოსწავლემ დაწერა: თავლს ეგვიპტის ფარაონთა სარკოფაგში აღმოჩენილი ჭურჭელი ინახავდა, რომელიც საუკუნეების შემდეგაც ვარგისი იყო საკვებად.

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 7. მოსწავლემ დაწერა: თანამოაზრობა რასაკვირველია არ გამორიცხავს აზრთა სხვადასხვაობას და ამა თუ იმ საკითხზე ცხარე კამათსაც კი.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) 8. თქვენი მიზანია გაახსენოთ მოსწავლეებს ის საკითხები, რომლებიც დაეხმარება მათ ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის უკეთ გაგებაში.

(2) I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები;

(2) II. ჩამოაყალიბეთ მართლწერის ორი საკითხი, რომლებიც ამ ურთიერთობას უკავშირდება.

(7) 9. წაიკითხეთ ნაწყვეტი ოთარ ჭილაძის ესეიდან „სიცოცხლისათვის“:

ამბობენ, რომ თითქოს თანამედროვე მუსიკა დამლუპველად მოქმედებდეს ახალგაზრდობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც ხელოვნურად შექმნილი ურჩხულია, რომელსაც არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, თუკი შეგვეძლება სწორი ურთიერთობის დამყარება მასთან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ვერავითარი მანკიერება ვერ მოგვერევა, თუკი სულიერად მზად ვიქნებით მის აღსაქმელად, მისი სიავეარგის გასაანალიზებლად. ეს, რასაკვირველია, მეტად სერიოზული საკითხია და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს ეხება, როგორებიცაა სკოლა და ოჯახი, საზოგადოება და სოციალური გარემო, ანუ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაზე თვალის გახელისთანავე ხვდება ყველა ახალ სიცოცხლეს და, რაც, ბოლოს და ბოლოს, განაპირობებს კიდევ მის მომავალს. ასე რომ, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება ჩვენი ბავშვობა, რადგან ჩვენი სიბერე ჩვენს ბავშვობაშივე იდგამს ფეხს. ბავშვობაში ეყრება საფუძველი იმ სულიერ ხერხემალსაც, რომლის სიმტკიცე განსაზღვრავს ჩვენს პიროვნულ თვისებებს, ჩვენი ადამიანურობის ხარისხს, ანუ, როგორც უკვე ვთქვით, გვაძლევს საშუალებას, სწორი ურთიერთობა დავამყაროთ, ვთქვათ, თანამედროვე მუსიკასთან, ტელევიზიასთან, მასობრივ სანახაობებთან...

(2) I. განსაზღვრეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(2) II. სადისკუსიო თემის გათვალისწინებით ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ოთარ ჭილაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(2) III. იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა).

(12) **10.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება:

I კრიტერიუმით შეფასების კომენტარებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტარებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება - ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ სტილისტურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	<p>ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით;</p> <p>ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;</p> <p>გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არაადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.</p>	<p>2</p> <p>1</p> <p>0</p>
II	ლექსიკა და სტილი	<p>ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია;</p> <p>ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები;</p> <p>გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.</p>	<p>2</p> <p>1</p> <p>0</p>
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	<p>ა) არ არის ამ ტიპის <i>სამზე მეტი</i> შეცდომა;</p> <p>ბ) არ არის ამ ტიპის <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა;</p> <p>გ) ამ ტიპის შეცდომა <i>ექვსზე მეტია</i>.</p>	<p>2</p> <p>1</p> <p>0</p>

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

არსებობს მოსაზრება, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ლიდერის თვისების ჩამოყალიბება. მოდით, ვიმსჯელოთ ამ საკითხის შესახებ.

სკოლა - ეს არის დაწესებულება, სადაც ბავშვი იღებს საწყის განათლებას და ემზადება დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის. პირველ რიგში, ისინი სწავლობენ მეგობრობას და უღვივდებათ სწავლის სურვილი, ხოლო ლიდერობის განცდა, მათ დროთა განმავლობაში უყალიბდებათ.

უამრავი სკოლა მინახია, სადაც მასწავლებლის მთავარი მოვალეობა არა დომინირების ბავშვში ჩამოყალიბება, არამედ სწავლაზე ორიენტაცია იყო. პირადი გამოცდილებითაც შემიძლია გითხრათ, რომ ახალგაზრდებს სკოლა არ უნერგავს ამათუიშ უნარს, უბრალოდ ისინი თვითონ გამოიმუშავენ მათ. ჩემ კლასშიც ანალოგიური სიტუაცია იყო, ზოგმა გამოამჟღავნა ლიდერობის სურვილი, ზოგმა არა, თუმცა გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ პედაგოგები ამაში არ ჩარეულან.

აქედან გამომდინარე, ერთი დასკვნის გაკეთება შემიძლია. პირველ რიგში, სკოლა გაძლევს განათლებასა და სულიერებას, რომლებსაც, ერთი მხრივ, სწავლის, ხოლო, მეორე მხრივ, მეგობრებთან და პედაგოგებთან ურთიერთობით იძენ. სკოლა ერთგვარი ბერკეტია და უდიდეს ფუნქციას ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება ლიდერობას, ვთვლი, რომ ეს საგანმანათლებლო სტატუსის მქონე დაწესებულება არ არის ორიენტირებული აუცილებლად რაღაც თვისების ჩამოყალიბებაზე ახალგაზრდებში. ის უბრალოდ ბავშვს ეხმარება უკვე გამოამჟღავნებული უნარის დახვეწაში, რადგან მომავალ თაობას არ გაუჭირდეს დამოუკიდებლად გზის გაკვალვა ცხოვრების სარბიელზე.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა).

II. ქართული ლიტერატურა

(1) 11. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ „შუშანიკის წამებაში“ ვარსკენი და მისი თანამოაზრენი არსად ახსენებენ მეუღლეთა სარწმუნოებრივ უთანხმოებას და მთელი ყურადღება დედოფლის სასახლეში დაბრუნებაზე გადააქვთ?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ამგვარი სტრატეგიით მოქმედება სპარსეთის სამეფო კარის გადაწყვეტილებაა, რათა სპარსელების პოლიტიკამ ქრისტიანები არ აღაშფოთოს.
- ბ) ამ დაპირისპირების ყოფით, ოჯახურ ნიადაგზე გადატანა მიზანმიმართულად ხდება, რათა დედოფლის მოწამებრივი ღვაწლი დაკნინდეს.
- გ) აშკარაა, რომ ვარსკენის მხრიდან სარწმუნოების უარყოფა ფორმალური ნაბიჯია და დედოფალი უბრალოდ ახირებულად იქცევა.
- დ) ცხადია, ამგვარი ტაქტიკური ნაბიჯით ვარსკენი და მისი მომხრეები ცდილობენ ახლო ნათესავთა გულები მოიგონ.

(1) 12. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: შუშანიკი სასახლიდან ისე წავიდა, რომ მეუღლეს არ დაელოდა. რატომ დატოვა დედოფალმა სასახლე ვარსკენთან მოლაპარაკების გარეშე?
რომელი წინადადება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

- ა) ვარსკენი დედოფლის გამაზღვრებას აპირებდა.
- ბ) ვარსკენი სპარსეთის პოლიტიკური მოკავშირე გახდა.
- გ) ვარსკენმა უარყო ქრისტიანული სარწმუნოება.
- დ) ვარსკენმა შუშანიკის მიტოვება გადაწყვიტა.

(1) **13. მოსწავლემ იკითხა: რა მიზნით შეიძლებოდა შეეტანა გიორგი მერჩულეს თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აშოტ კურაპალატის გამიჯნურების ეპიზოდი?
რომელი შეხედულება დაგეხმარებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**

- ა) პერსონაჟის ხასიათი სტატიკური კი არ არის, არამედ - ვითარდება.
- ბ) სასულიერო წოდება იმდენად გავლენიანია, რომ მეფეთა ცხოვრებაშიც ერევა.
- გ) ხორციელი ცდუნების საფრთხე ძირითადად საერო წოდების წარმომადგენლებს ემუქრებათ.
- დ) ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში არატიპური მოტივების ასახვა სავსებით შესაძლებელია.

(1) **14. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რაზე შეიძლება მიაწინებდეს ის ფაქტი, რომ გრიგოლ ხანძთელი სიახლეთა გასაცნობად კონსტანტინოპოლში გაემგზავრა და არა იერუსალიმში?
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**

- ა) გრიგოლ ხანძთელი, როგორც ბერძნული ენის კარგად მცოდნე, სასურველ კონტაქტებს კონსტანტინოპოლში უფრო დაამყარებდა.
- ბ) გრიგოლ ხანძთელი, როგორც ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთან დაახლოებული პირი, კონსტანტინოპოლში მისი რეკომენდაციით გაემგზავრა.
- გ) გრიგოლ ხანძთელის ვიზიტი კონსტანტინოპოლში ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ ამ პერიოდში ქართული ეკლესია იერუსალიმის ეკლესიას დაუპირისპირდა.
- დ) გრიგოლ ხანძთელის ვიზიტი ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ ამ პერიოდში ქრისტიანული სამყაროს ცენტრად სწორედ კონსტანტინოპოლი მოიაზრება.

(1) 15. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: ზღვაში ნესტანის მრავალთვიანი უშედეგო ძებნის შემდეგ ტარიელი ისეთი სასოწარკვეთილი იყო, რომ ადამიანების დანახვაც არ უნდოდა. ამის შემდეგ ცოტა უცნაურად გამოიყურება ფრიდონის პრობლემების მოსაგვარებლად მისი თავგამოდება. რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ტარიელმა გააცნობიერა, რომ, გადატანილი უბედურებების მიუხედავად, საზოგადოებისაგან მოწყვეტა გონივრული არ იქნებოდა და ახალი მეგობრის შეძენა ამიტომ გადაწყვიტა.
- ბ) ტარიელმა იფიქრა, რომ ზღვიდან გამოსულ კაცს შესაძლოა რაიმე სცოდნოდა ნესტანის შესახებ, რომლის კვალიც ზღვაში დაიკარგა და მისი დახმარება ამიტომ გადაწყვიტა.
- გ) ფრიდონის მოქმედებაში ტარიელმა დაინახა დაუნდობელი და სასტიკი ადამიანი, რომელიც საკუთარი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეეძლო გამოეყენებინა და ამიტომ დაეხმარა.
- დ) ფრიდონის პიროვნებაში ტარიელმა საკუთარი ღირსებებისათვის მეზრძოლი უკომპრომისო ადამიანი დაინახა, რომელთანაც სულიერი ნათესაობა იგრძნო და ამიტომ დაეხმარა.

(1) 16. რომელი ფილოსოფიური კონცეფცია აისახა „ვეფხისტყაოსანში“?

- ა) ეპიკურიზმი.
- ბ) ნეოთომიზმი.
- გ) ნეოპლატონიზმი.
- დ) სოფიზმი.

(1) **17. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ ვერ ივიწყებს თინათინი უცხო მოყმეს და რატომ ავალებს ავთანდილს მის მოძებნას, როცა მეფემაც და სპასპეტმაც დაივიწყეს ეს ამბავი?
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**

- ა) თინათინი ვარაუდობს, რომ უცნობი რაინდი ხორციელი ადამიანი იყო, ამიტომ სურს გაიგოს, ვინ იყო ის, ვინც არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას.
- ბ) თინათინი შეურაცხყოფილია უცნობი რაინდის დაუმორჩილებლობით, ამიტომაც სურს მისი მოძებნა და სამაგალითოდ დასჯა, რომ სხვამ არავინ მიბადოს.
- გ) თინათინს იმ უძლეველი რაინდის გაცნობა სურს, რომელმაც არაბთა ჯარი დაამარცხა, რათა თავის სამსახურში ჩააყენოს.
- დ) თინათინს სურს მამას დაუმტკიცოს, რომ მასზე ძლიერია და იმ პრობლემასაც კი მოაგვარებს, რომლის გადაჭრა როსტევანმა ვერ შეძლო.

(1) 18. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: მეფე ფინეზს, რომელიც ჩანს, რომ ჭკვიანი და ღირსეული კაცია, რისთვის სჭირდება თავის კარზე ისეთი ბოროტი და ვერაგი ადამიანი, როგორც რუქაა?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) მეფე ფინეზისათვის მთავარია არა ქვეშევრდომების ზნეობრივი ღირებულებები, არამედ ის, რამდენად ერთგულნი არიან ისინი თავიანთი პატრონისა.
- ბ) მეფე ფინეზისათვის მნიშვნელოვანი არაა, რა ზნეობრივი ღირებულებები აქვთ მის ქვეშევრდომებს, მთავარია, მათ საჭირო ინფორმაცია დროულად მიაწოდონ.
- გ) მეფე ფინეზს თავის კარზე რუქასნაირი ადამიანები იმისათვის სჭირდება, რომ მისი ქვეშევრდომები მუდმივ დასმენასა და ტერორს უფრთხოდნენ.
- დ) მეფე ფინეზს სჭირდება გონიერ, თუმცა განსხვავებული ზნეობრივი ღირებულებების მრჩევლებს მოუსმინოს, რათა სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს.

(1) **19.** დავით გურამიშვილის პოეზიის შესახებ საუბრისას კლასში დაისვა შეკითხვა: *რას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა, რომ დავით გურამიშვილმა უარყო ალეგორიულობა?*
რომელ დებულებას გამოიყენებთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?

- ა) დავით გურამიშვილმა გადააფასა ტრადიციული ქრისტიანული ალეგორიული სახეები.
- ბ) დავით გურამიშვილმა განაახლა ტრადიციული აღმოსავლური ალეგორიული სახეები.
- გ) დავით გურამიშვილმა უარყო ტრადიციული აღმოსავლური ალეგორიული სახეები.
- დ) დავით გურამიშვილმა უარყო ტრადიციული ქრისტიანული ალეგორიული სახეები.

(1) 20. რა თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზია ენათესავება ქართველი რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებას?

- ა) რომანტიკოსთა შემოქმედებაში ისტორიულ თემატიკას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.
- ბ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში კეთილხმოვანებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.
- გ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში სოციალურ თემატიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.
- დ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში ძველი ქართული პოეზიის ზეგავლენა იგრძნობა.

(1) 21. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ შეიძლება გრიგოლ ორბელიანი გაორებულ პიროვნებად ჩაითვალოს? რომელ თემაზე მსჯელობა იქნება მიზანშეწონილი მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედის მიმართ გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულების შესახებ.
- ბ) რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულების შესახებ.
- გ) რუსეთის მონარქიული ტახტის მიმართ გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულების შესახებ.
- დ) ქართული სალიტერატურო ენის მიმართ გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულების შესახებ.

(1) 22. რა კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა 1870-იანი წლების დასაწყისში „მამების“ და „შვილების“ დაპირისპირების ახალი ტალღა?

- ა) აკაკი წერეთლის მიერ გრიგოლ ორბელიანის განსაქიქებლად დაწერილმა ლექსებმა „ხარაბუზა ღენერალს“ და „ფარშავანგი“.
- ბ) გრიგოლ ორბელიანის ლექსის „პასუხი შვილთა“ გავრცელებამ და „შვილების“ თაობის მკვეთრად უარყოფითმა რეაქციამ.
- გ) ილიას წერილმა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“.
- დ) „მამების“ თვითნებურმა გადაწყვეტილებამ, რუსეთის იმპერატორისათვის უნივერსიტეტის ნაცვლად თბილისში სამხედრო სასწავლებლის დაარსება ეთხოვათ.

(1) **23.** პუბლიცისტურ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ილია ჭავჭავაძე სვამს კითხვებს: „რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?“

რა პასუხს იძლევა თვითონ ავტორი ამ კითხვებზე?

- ა) ყოველთვის გამოვირჩეოდით განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით.
- ბ) ყოველთვის ვგრძნობდით კულტურის მნიშვნელობას.
- გ) ყოველთვის ვიცოდით საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენება.
- დ) ყოველთვის ვუღებდით ალღოს დროის მოთხოვნებს.

(1) **24.** აკაკის პოეზიისათვის დამახასიათებელ რომელ ნიშნებზე უნდა იმსჯელოთ იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ მისი ლექსები მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ პოეზიასთან?

- ა) არქიტექტონიკულ სირთულესა და სათქმელის ალეგორიული ფორმით გადმოცემისკენ სწრაფვაზე.
- ბ) საქართველოს ისტორიისადმი გამახვილებულ ყურადღებასა და პოეტური აზროვნების არისტოკრატიზმზე.
- გ) სიუჟეტის ორიგინალურ სტრუქტურასა და არქაული ლექსიკისადმი განსაკუთრებულ ერთგულებაზე.
- დ) ფორმისმიერ სისადავეზე, პოეტურ სახეთა გამჭვირვალობასა და ენობრივ დემოკრატიზმზე.

(1) 25. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ შესახებ მსჯელობისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *რის თქმა სურს ავტორს კვირიას სიზმრით?*

რომელ თვალსაზრისს გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) კვირიას სიზმარი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგის გავლენით არის შექმნილი.
- ბ) კვირიას სიზმარი პოეტური სამკაულია და სხვა მხატვრული დატვირთვა არ გააჩნია.
- გ) კვირიას სიზმარი წინასწარმეტყველურია და მთავარი სათქმელის აღქმას უწყობს ხელს.
- დ) სიზმარი შემთხვევითობაა და მას არაფერი აკავშირებს ადამიანის მომავლის განსაზღვრასთან.

(1) 26. რამ განაპირობა ის, რომ ლეო ქიაჩელმა შეცვალა „ჰაკი აძბას“ ფინალი: ადრინდელ გამოცემაში კუზმა კილგა კლავს ჰაკის, გვიანდელში კი - არა?

- ა) ავტორი მოგვიანებით მიხვდა, რომ მის მიერ დახატული ბოლშევიკი ასე ადვილად არ გაიმეტებდა უდანაშაულო ადამიანს და ამიტომ შეცვალა ფინალი.
- ბ) ისევე, როგორც იმ ეპოქის სხვა მწერლები, ლეო ქიაჩელიც გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა და ცდილობდა თავიდან აერიდებინა ბოლშევიკების მოსალოდნელი რისხვა.
- გ) ისევე, როგორც იმ ეპოქის სხვა მწერლებმა, ლეო ქიაჩელმაც მიზნად დაისახა ბოლშევიკების გული მოეგო და კუზმა უნაკლო ადამიანად წარმოედგინა.
- დ) მწერალი უკმაყოფილო იყო საზოგადოების უყურადღებობით და იმიტომ შეცვალა ფინალი, რომ ბოლშევიკური მთავრობის ხელშეწყობით მეტი დაფასება და აღიარება მოეპოვებინა.

(1) 27. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: რატომ ექცევა ავტორი ასე სასტიკად თავის პერსონაჟებს, ნუთუ არაფერი იყო მათში პოზიტიური?
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მწერლის პოზიციის ასახსნელად?

- ა) ავტორმა აირჩია წერის რეალისტური სტილი ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი დაცემის საჩვენებლად.
- ბ) ავტორმა აირჩია წერის ექსპრესიონისტული სტილი ადამიანების „ცხოველური“ ბუნების უკეთ წარმოსაჩენად.
- გ) ავტორმა აირჩია წერის იმპრესიონისტული სტილი ადამიანის ბუნების შეუცნობლობის საჩვენებლად.
- დ) ავტორმა აირჩია წერის სიმბოლისტური სტილი ადამიანთა სულიერი დაცემისა და აღდგინების საჩვენებლად.

(1) 28. ქართველი სიმბოლისტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თავიანთი ლიტერატურული პრინციპების დასაყრდენს ეძებდნენ, ხოლო კიტა აბაშიძე დარწმუნებით ამბობდა: „სიმბოლიზმის საუკეთესო წარმომადგენელი როგორც პროზაში, ისე პოეზიაში ვაჟა-ფშაველაა“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების რა თავისებურება შეიძლებოდა გამხდარიყო ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი?

- ა) თხრობის სისადავე და დიალექტური ფორმების გამოყენება.
- ბ) მკაფიო ინდივიდუალიზმი, ალეგორიული და მითოლოგიური ასპექტები.
- გ) საქართველოს ისტორიის მიმართ საგანგებოდ გამახვილებული ყურადღება.
- დ) ძლიერი და მკაფიოდ გამოკვეთილი პატრიოტული ნაკადი.

(1) 29. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ შესწავლისას მოსწავლემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და დასვა შეკითხვა: *აშკარაა, რომ მოთხრობის მთავარი გმირის ამბოხი გაუგებარია იმ საზოგადოებისათვის, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული. გამოდის, რომ ეს პროტესტი სრულიად უშედეგოა და მაშინ რაღა აზრი აქვს მას?*

როგორ უპასუხებთ მოსწავლის ამ მოსაზრებას?

- ა) მაღალი იდეალების ადამიანებს, მართალია, საზოგადოების შეცვლა არ შეუძლიათ, მაგრამ თავიანთი ამბოხით ბიძგს აძლევენ მის განვითარებას.
- ბ) მაღალი იდეალების ადამიანები მხოლოდ საკუთარ პრინციპებზე უნდა ფიქრობდნენ და არა საზოგადოების შეგნებისა თუ მორალური სახის გაჯანსაღებაზე.
- გ) გმირის ამბოხი ზეგავლენას ვერ მოახდენს დასალუპავად განწირულ დეგრადირებულ ხალხზე და ამიტომ მას მართლაც არავითარი აზრი არა აქვს.
- დ) მართალია, საზოგადოება ადრე თუ გვიან სრულად გაიაზრებს მეამბოხე ადამიანის სულისკვეთებას, მაგრამ მაინც ვერაფერს შეცვლის.

(1) 30. რა რეაქცია მოჰყვა სრულიად ახალგაზრდა ანა კალანდაძის პირველ გამოჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე?

- ა) პროექტის გამოსვლას მწერალთა კავშირში ხელისუფლების სრული მხარდაჭერა მოჰყვა, თუმცა ამან მკითხველთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.
- ბ) პროექტს მაშინვე დიდი აღიარება ხვდა წილად და იგი დაუყოვნებლივ მიიწვიეს მწერალთა კავშირის მდივანად.
- გ) საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ოფიციალმა პროექტი დაუნდობლად გააკრიტიკა სოციალისტური რეალიზმისათვის შეუფერებელი თემების გამო.
- დ) ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ანას პოეზიაში გამჟღავნებული თრობის კულტი.

მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ დავით წერედიალის ლექსი „ძველი წარწერები“:

1. მეფემან ბაგრატ მპყრობელმან
ყოვლთა ქართველთა... ვესევ...
და აღვაშენე... წევნითა...
ღვთისა... ტაძარი ესე...
5. ...ითა ჩემითა აღაგო
მან მაღალმან და ბრძენმან
ოსტატმან ა... ე... (სახელი
არ იკითხება) მრწემ ვარ...
9. და დავესვენე წმიდასა
ამას... უფლისა... ცხრამე...
ცოდვანი ჩემნი... ითა და...
...ისაითა და... ამენ.

13. კანკლედთან, ვირემ წმიდანნი,
თვალს ეფეთება სხვა რამ:
ხელაღპყრობილი ხატია
ჩაბალხთ-ბატონი გვარამ.
17. მზერა ჰქონდა და ორბული,
ხელი ჰქონდა და მძიმე,
ქართლის მეფეზე გაცაწყრა,
სამგზის განაძო იმერს.
21. ჩაფით ჩაღლევედა ლომკაცი,
ჯერზე ერკემალს ნთქავდა
(ეს ცნობაც შემოუნახავს
საგვარეულო დავთარს).

25. შორ გზაზე უბით დაჰქონდა
დედასამშობლოს მიწა.
სამთავეს ყადრი იცოდა,
ცხენის, ქალის და ხმლისა...
29. საფლავის ლოდი გადარჩა,
თვითონ საფლავი არა.
აქ:განისვენებს: _ წერია _
დიდი:მთავარი:გვარამ:
33. კაცნო:უბრძანეთ:შენდობა:
მხნესა:მამაცსა:ქველსა:
გარდა:იცვალა:მაყრიონს:
გრემის:დაქცევის:წელსა.

37. ამინ. ვახსენოთ. შევუნდოთ.
წარსულია და გველმის.
ისე მამაცნი ყოფილან,
უზაკველნი და ქველნი,
41. ისე ზარავდათ მომხდურებს
მათი ძალა და სიმხნე,
რომ ზოგჯერ ექვიც გაკრთება:
იყვნენ? არ იყვნენ? იყვნენ?
45. დღეს აქ ერთია სავსებით
უექველი და ცხადი:

ფრთხილად დახაზა ეტრატზე
ნათლის, სიმართლის ხატი,
უქვრიტა, განბჭო, განზომა,
50. რა განასრულა ხაზვა,
და ოქრომქედლის სიზუსტით
ხედის თვალედში ჩასვა
მან ბრძენმან, ვითარ უწოდებს
მეფე ქართველთა, ბაგრატ,
55. ოსტატმან, ვისი სახელიც
არ იკითხება,
გაქრა...

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) **31.** რას წარმოადგენს ლექსის პირველი სტროფი?

- ა) საქართველოს მეფის, ბაგრატ მეოთხის, ანდერძს.
- ბ) უცნობი ქართველი მემკვიდრის ნაშრომის ფრაგმენტს.
- გ) ქვაზე ამოკვეთილი ძველი წარწერის ნაშთს.
- დ) ძველი ქართული ხელნაწერის დაკარგულ ფრაგმენტს.

(1) 32. რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას პირველი ოთხი სტრიქონი?

- ა) ვინ იყო დაპყრობილი საქართველოს მეფე.
- ბ) ვისი ბრძანებით აიგო კონკრეტული ტაძარი.
- გ) როგორი ხვედრი ერგო კონკრეტული ტაძრის ხუროთმოძღვარს.
- დ) რომელი სარწმუნოება იყო აღიარებული ოფიციალურ რელიგიად.

(1) **33.** ტაძრის ამგების რომელი თვისებები ჩანს ტექსტში?

- ა) სიბრძნე და პროფესიული ოსტატობა.
- ბ) სიბრძნე და სამშობლოს სიყვარული.
- გ) სიმამაცე და მეფის ერთგულება.
- დ) სიმამაცე და ფიზიკური ძალა.

(1) 34. რისი სურვილი შეიძლება ამოვიკითხოთ მეცხრე-მეთორმეტე სტრიქონებში?

- ა) ტაძრის უკვდავყოფისა.
- ბ) ტახტის დაბრუნებისა.
- გ) ქვეყნის გათავისუფლებისა.
- დ) ცოდვათა შენდობისა.

(1) 35. ვინ უნდა იყოს „ჩაბალხთ-ბატონი გვარამ“?

- ა) მეფის ერთგული ვეზირი.
- ბ) მეფის ურჩი ფეოდალი.
- გ) ტაძრის ამგების მეტოქე.
- დ) ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლი.

(1) 36. რა მიზნით იყენებს ავტორი ორწერტილს სიტყვების გამოფად?

- ა) მკითხველისათვის ინფორმაციის აღქმის გასაადვილებლად.
- ბ) პოსტმოდერნული სტილის ეფექტის შესაქმნელად.
- გ) ძველი წარწერების სტილის მისამსგავსებლად.
- დ) წარწერის ამომკვეთის ოსტატობის საჩვენებლად.

(1) **37.** რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:

„რომ ზოგჯერ ეჭვიც გაკრთება:
იყვნენ? არ იყვნენ? იყვნენ?“

- ა) შესაძლოა ისტორიული წყარო ზოგჯერ პიროვნების ღვაწლს აკნინებდეს.
- ბ) შესაძლოა ისტორიული წყარო წარსულს ზოგჯერ იდეალიზებულად წარმოგვიდგენდეს.
- გ) შეუძლებელია ისტორიული წყარო ვინმეს პიროვნულ ინტერესებს გამოხატავდეს.
- დ) შეუძლებელია ისტორიული წყარო წარმატებებში დაეჭვების საფუძველს გვიქმნიდეს.

(1) 38. ავტორის სიტყვებით, რა არის „უეჭველი და ცხადი“?

- ა) გადარჩა ბრწყინვალედ აგებული ტაძარი, მაგრამ ხალხმა რწმენა დაკარგა.
- ბ) გადარჩა ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილება - ტაძარი, რომლის ავტორიც უცნობია.
- გ) ნამდვილად არსებობდა მეფის მოღალატე ფეოდალი, რომლის სახელიც უცნობია.
- დ) ქვეყნის დიდებული წარსულის სიმბოლო - ტაძარი - სამუდამოდ მიუტოვებია მრევლს.

(1) 39. ლექსის რომელ მონაკვეთში არის გამოყენებული მეტაფორა?

- ა) „დღეს აქ ერთია სავსებით
უეჭველი და ცხადი“.
- ბ) „უჭვრიტა, განბჭო, განზომა,
რა განასრულა ხაზვა“.
- გ) „და ოქრომჭედლის სიზუსტით
ხედის თვალედში ჩასვა...“
- დ) „ოსტატმან, ვისი სახელიც
არ იკითხება,
გაქრა“.

(1) 40. რა აზრს გამოხატავს ამ ლექსის ფინალი?

- ა) არავინ იცის, ვინ არის ბაგრატი.
- ბ) დავიწყებული ხელოვანი დღეს პოპულარული გახდა.
- გ) უკვალოდ გაქრა დიდი ხელოვანის სახელი.
- დ) წარწერების გარჩევა მხოლოდ მეცნიერებს შეუძლიათ.

(5) 41. იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).